ლელო

6-9 დეკემბერი 1994 წ.
● №40 (10908)
ფასი 250 000 კუპონი.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# პირველად იყო ტაშკენტი...



**ეს მოხდა სამი ათეული წლის წინათ, 1964 წლის 18 ნოემბერს.**

„მოსკოვის „ტორპედოს" კართან ზედიზედ ინიშნებოდა კუთხურების სერია და ყოველ ჩამოწოდებას თან მოსდევდა აი ასეთი მძაფრი, დრამატიზმით აღსავსე წამი — წამს ასაფეთქებლად დამუხტული მომენტები, სანამ, ბოლოს და ბოლოს, ილია დათუნაშვილის ხვეული ბურთი ყუმბარასავით არ ჩაეშვა „ტორპედოს" კარში..."

ფოტო „ლელოს" არქივიდან

იხ. მე-2-3 გვ.

## ნანა ყაზარაშვილი — კიოლნში პირველი!

თბილისში, სპორტულ-სანახაობით ცენტრ „ბერიკონში" საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირმა, სპორტკლუბ „დინამოს" მონაწილეობით, მოაწყო შეხვედრა ტაშკენტის მატჩის გმირებთან. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, ჟურნალისტები, გულშემატკივრები. შეხვედრაზე პატივი მიაგეს იმ ფეხბურთელებს, რომლებიც დღეს უკვე ცოცხლები აღარ არიან.

წყალში მხტომელთა საერთაშორისო ასპარეზობა, რომელსაც გერმანიის ქალაქი კიოლნი მასპინძლობდა, მონაწილეთა სიძლიერით არ ჩამოუვარდებოდა ამ ზაფხულს პარდუბიცეში ჩატარებულ ევროპის იუნიორთა ჩემპიონატს, სადაც 14 წლის თბილისელი მოსწავლე ნანა ყაზარაშვილი მეხუთე ადგილს დასჯერდა. ამჯერად კი სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ქართველმა სპორტსმენმა პირველობა არავის დაუთმო. ვულოცავთ!

## ელეგანტური თასი — ნადია დოლიძეს



ლონდონის საერთაშორისო ცენტრის მოსწავლემ, 15 წლის ქართველმა გოგონამ ნადია დოლიძემ თბილისელი მწვრთნელის აზა ჯაფაროვას ხელმძღვანელობით აიდგა ფეხი სინქრონულ ცურვაში. იგი წყლის სტიქიას არც ბრიტანეთის კუნძულზე შეეშვა და შარშან ლონდონის პირველობაზე ერთეულთა თანრიგში სცადა ძალა, სადაც პირველობა ამ ქვეყნის ნაკრების წევრ დონ ბეკერს დაუთმო და მეორე ადგილზე გავიდა. წლევანდელი ასპარეზობა კი ქართველი სპორტსმენის სრული რევანშით აღინიშნა. მან ჩემპიონის 2 ოქროს მედალი (სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამით გამოსვლებში) მოიპოვა და დაეუფლა ვერცხლის მოოქროვილ თასს, რომელსაც ელეგანტური თასი ჰქვია. იგი 1983 წლიდან თამაშდება. მეორე ადგილზეა დონ ბეკერი.

კლუბი „სიმო", რომლის სახელსაც ნადია იცავს, პირველად გახდა გარდამავალი პრიზის მფლობელი. ნ. დოლიძე არც მოზრდილთა შორის გამოსულა ურიგოდ. იგი IV იყო სავალდებულო, ხოლო V — ნებისმიერ პროგრამებით გამოსვლებში.

სურათზე: ნადია დოლიძე.

## ყველაზე ხანდაზმული და სიმპატიური



ჯორჯ ფორმენი

ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ 5 ნოემბერს ლას-ვეგასში, სასტუმრო „მირაჟის" სარბიელზე გაიმართა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ორიგინალური (გნებავთ უნიკალური) მატჩი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მაძიებელს, **46 წლის ჯორჯ ფორმენსა** და ორი ვერსიით (კრივის მსოფლიო ასოციაცია და კრივის საერთაშორისო ფედერაცია) ამ ტიტულის მფლობელს მაიკლ მურერს შორის.

ფორმენმა, რომელსაც ორ თვეში 46 წელი შეუსრულდება, ჩემპიონის ოქროს ქამარი დაკარგა 20 წლის წინ ზაირის გახმაურებულ ორთაბრძოლაში მოჰამედ ალისთან. მას შემდეგ ექსჩემპიონმა უამრავი პროფესია გამოიცვალა, ბოლოს პასტორი გახდა და თავის მრევლს მორჩილებისა და თვინიერებისაკენ მოუწოდებდა, მაგრამ 42 წლის ასაკში, როგორც ჟურნალისტები წერდნენ, რაღაც გადაუბრუნდა ტვინში და რინგზე დაბრუნება გადაწყვიტა. ოთხი წლის მანძილზე ფორმენს უამრავი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა, სანამ ამ ორთაბრძოლაში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებდა.

მისმა მეტოქემ, მაიკლ მურერმა 1993 წლის 22 აპრილს დაამარცხა ევანდერ ჰოლიფილდი, აალებინა მას ხელი გვირგვინზე და როგორც ბევრს ეგონა დიდი ხნით მოიკალათა ჩემპიონის ტახტზე.

და ალბათ ვერც ვერავინ დაარღვევდა მის სიმშვიდეს, ფორმენს რომ არ ჰქონოდა ასეთი უტეხი ხასიათი.

ერთი სიტყვით, მატჩი შედგა და მან ბრწყინვალე, თითქმის დაუჯერებელი გამარჯვება მოუტანა 46 წლის „მოხუცს" მეათე რაუნდის მიწურულში. ცხრა რაუნდი მურერის უპირატესობით აღინიშნა, ოღონდ ეს ის უპირატესობა იყო, რომელსაც აღწევს ახალგაზრდა, უფრო მოძრავი და ცოცხალი კაცი, ხანდაზმულ მეტოქესთან, რომელსაც უჭირს რინგზე გადაადგილება, მაგრამ ელოდება ხელსაყრელ მომენტს, რომ აამოქმედოს თავისი შეუდარებელი ძალის მარჯვენა ჰუკი.

როგორც მიმომხილველები მოგვიანებით აღნიშნავდნენ, სეკუნდანტი ყოველ შესვენებაზე აფრთხილებდა მურერს, ერიდე ფორმენის მარჯვენა ხელსო. მურერიც ფხიზლად იყო, მაგრამ ერთხელ მაინც დაკარგა სიფხიზლე, მიუახლოვდა მეტოქეს „აკრძალული" მხრიდან და მიიღო დარტყმა, რომელმაც ხაზი გადაუსვა მთელს მის კარიერას. არადა, ახლა უკვე მსოფლიოს ექსჩემპიონისთვის ეს იყო პირველი მარცხი, ისიც ნოკაუტით პროფესიულ რინგზე. ფორმენმა კი გვირგვინთან ერთად დაიმსახურა ყველაზე ხანდაზმული და ამიტომაც ყველაზე სიმპატიური მსოფლიო ჩემპიონის სახელი პროფესიული კრივის ისტორიაში.

## ევროპის ჩემპიონატის მატჩები ფეხბურთში

## საქართველო — უელსი

პროლოგის ნაცვლად

ორშაბათს, გვიან საღამოს, თბილისის აეროპორტში ოფიციალურმა პირებმა, მათ შორის, მრავალმა ჟურნალისტმა, შვებით ამოისუნთქა, როგორც კი ბრიტანული ავიოკომპანიის თვითმფრინავი ბეტონის ბილიკზე დაეშვა. საქმე ისაა, რომ უელსის სპორტული დელეგაციის საქართველოში ჩამოსვლა უკანასკნელ დღემდე კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. მიზეზად საზღვარგარეთ თბილად მოკალათებული ჩვენი თანამემამულეთა ერთ-ერთი ფირმა მოგვევლინა, რომელმაც უპატიოსნო გზით ფულის გაკეთება მოინდომა. მხოლოდ დიდი მცდელობით მოხერხდა საერთაშორისო დონის სკანდალის თავიდან აცილება, რომლის შედეგებიც შეიძლება ტრაგიკული ყოფილიყო ქართული ფეხბურთისათვის.

ასე თუ ისე, ღმერთის წყალობით კვლავ ვიხილეთ უელსის ეროვნული ნაკრების მენეჯერის მაიკ სმითის მომღიმარი სახე, რომელიც ადვილად გამოვარჩიეთ სტუმართა მრავალრიცხოვან, 97-კაციან არმიაში (ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებს თან ჩამოჰყვნენ უელსის ფეხბურთის ფედერაციის მუშაკები, 20 ჟურნალისტი, ამდენივე გულშემატკივარი, უეფას დელეგატი — ირლანდიელი ტ. ონვილი, „მზვერავი" — გერმანიის ეროვნული ნაკრების სელექციონერი ჰ. დორნერი და სხვ.). ჟურნალისტებმა, რასაკვირველია, ალყაში მოვაქციეთ ბატონი

იხ. მე-2 გვ.

## ბატონი ნიკო ლეკიშვილი სიტყვის კაცია

იმედი დღეს დიდი რწმენაა, ისეთი რწმენაა, ძალას რომ მატებს კაცს და ხელს საბოლოოდ არ ჩააქნევინებს, ისევ შიაბრუნებს თავის საქმეზე, რომელსაც შესაძლოა უკვე ათეულობით წელია ემსახურება. რას აღარ მოვესწარით, ადრე თუ ხალხს ემუდარებოდნენ, აგერ სპორტული ბაზები, თქვენთვისაა ეს ყველაფერი, მიბრძანდით, ივარჯიშეთ, დაისვენეთ, სხეულიც გაიკაჟეთ და სულიც გაილაღეთო, დღეს ვიღას ახსოვხარ, თვით სპორტული ბაზები აღმოჩნდნენ გალატაკებულები და იქ დასაქმებულმა ბევრმა პროფესიონალმა ლუკმა პურის საძიებლად სხვა სფეროში გადაინაცვლა. სპორტული ბაზების შენახვის გაუსაძლისმა გადასახადებმა დიდ სპორტს და მასობრივ სპორტს ერთნაირად გადაუჭრა სასიცოცხლო არტერია. ასეთ ვითარებაში უდავოდ მისასალმებელია პრობლემის გადაჭრის საკითხით ქალაქის მერიის, პირადად ბატონ ნიკო ლეკიშვილის დაინტერესება. ბატონი ნიკო არასდროს ყოფილა სპორტისადმი გულგრილი. კარგად გვახსოვს, რამდენი ილვაწა, რომ სპორტული მოედნების რიცხვს ახალი მომატებოდა, ძველი შეგვენარჩუნებინა, კეთილმოგვეწყო, უფლებას არავის აძლევდა სპორტის მნიშვნელობას ზერელედ მიდგომოდა. ბატონი ნიკო ყველას აძლევდა მაგალითს, ვარჯიშობდა, ესწრებოდა შეჯიბრებებს, აფინანსებდა სპორტულ-მასობრივ ღონისძიებებს.

თბილისის სპორტკომიტეტმა და მისმა თავმჯდომარემ ბატონმა ვლადიმერ კანკავამ ყველაფერი იღონა, რომ დედაქალაქში სპორტულ ბაზებზე არ ჩაქრეს სიცოცხლე, მაგრამ საჭირო გახდა მხარდაჭერა, და აი, ეს მხარდაჭერაც მოვიდა, მოვიდა იქიდან, საიდანაც უნდა მოსულიყო.

მაინც რა გადაწყვეტილება მიიღო ქალაქის მერიამ?

ვლადიმერ კანკავა: „ბატონ ნიკო ლეკიშვილის წინადადებით თბილისის მხვილი სპორტული ობიექტები განთავისუფლდება კომუნალური გადასახადისაგან, სპორტული ბაზების სიას კი, შეთანხმებულს სპორტის დეპარტამენტთან, წარუდგენთ ქალაქის მერიას. ამავე დროს დაიწყო შეიქმნას სპორტის ხელმძღვანელობის რაიონული რგოლის ახალი სისტემა, რაც ხელს შეუწყობს საქმიანობის გაუმჯობესებას"

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო — უელსი

(დასაწყისი 1-ელ გვერდზე)

მაიკ: „ივლისში მომეცა შესაძლებლობა დავსწრებოდი საქართველო-მალტის ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს. ე.ი. რაღაც წარმოდგენა მაქვს თქვენი გუნდის ძლიერ თუ სუსტ მხარეზე. უთუოდ ძნელი ბრძოლის გადატანა მოგვიხდება. შევეცდებით, მოვიგოთ...“

სტუმრებმა ბარგის მისაღებად რამდენიმე კაცი დატოვეს თავად კი გეზი სასტუმრო „მეტეხისაკენ“ აიღეს. გაგვაოცა უელსელთა ბარგმაც: სტუმრებმა თურმე თან ჩამოიტანეს დიდი რაოდენობით სასმელები, მინერალური წყალიც კი, კვების პროდუქტები, დელიკატესები... იმავე ღამეს (დიახ, ღამის პირველის ნახევრიდან ორი საათის განმავლობაში — გინესის წიგნში ჩასაწერი შემთხვევაა!) სტუმართა ორივე ნაკრებმა ექვსსაათიანი მგზავრობის მიუხედავად, საკმაოდ ინტენსიურად ივარჯიშეს ჩვენს სტადიონზე. აქ შევატყვეთ, რომ უელსის ეროვნული გუნდი კიშინიოვის მატჩთან განსხვავებით უძლიერესი შემადგენლობითაა ჩამოსული (თუ არ ჩავთვლით ტრავმირებული ადრიან უილიამსის და რაიან გიგზის არყოფნას).

### მატჩი პირველი — რანგით უფრო დაბალი

**15 ნოემბერი.** თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 10.000 მაყურებელი. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: საქართველო — უელსი 1-2. მსაჯი ს. ჩელიკი (თურქეთი). უეფას დელეგატი: დოქტორი ტონი ო. ნეილი (ირლანდია).

საქართველო: ჯანელიძე, გოგიტაძე (რეხვიაშვილი), ბურნაძე (ასპინძელაშვილი), პაპიძე, ბუცურეიშვილი, კიკნაძე, ლუდუშაური, მუჯირი, ჯანაშია, ანჩაბაძე, ა. არველაძე; უელსი: კრიჩი, ს. უილიამსი, ბრეიკი, ფეიჯი, ედვარდსი, ი. ჰიუზი, ჯონსი, დევისი, ჰარტსონი, ტეილორი, ტვიდი (ბიორდი).

გოლები: ტვიდი, ჯონსი, ანჩაბაძე — პენალტით.

გააფრთხილეს: ფეიჯი, ბუცურეიშვილი, გოგიტაძე.

გააძევეს: ჯანაშია.

ისევე, როგორც ბულგარეთში, აქაც მატჩის დასაწყისშივე მცველთა და მეკარის უხეში შეცდომის შემდეგ ჩვენებმა პირველი ბურთი მიიღეს საკუთარ კარში. ობიექტურობა მოითხოვს ვაღიაროთ: სტუმართა გუნდმა ფეხბურთის ყველა კომპონენტში დაგვჯაბნა — ფიზიკურ, ტაქტიკურ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ტექნიკურ მომზადებაშიც კი. ვისაც თამაში, ასე თუ ისე, გამოუვიდათ, ვფიქრობთ, იყვნენ არჩილ არველაძე (მას და ჯონ ჰარტსონს მატჩის შემდეგ სეოკის ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ გაჩეჩილაძემ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სამახსოვრო პრიზები გადასცა) და ზაზა ჯანაშია, რომლის იმედიც შემდგომში ალბათ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მეხვეწურებს ჰქონდათ, მაგრამ ზაზას ნერვებმა უმტყუნა და უხეში ხულიგნური საქციელისათვის გააძევეს მოედნიდან (მივაგებთ რა უდიდეს პატივს ობიექტურ ქართველ გულშემატკივრებს, მაინც მინდა შევნიშნო — ნუთუ მოთამაშე, რომელიც უხეში თამაშისათვის გაძევებულია მოედნიდან და ამით ზარალს აყენებს თავის გუნდს, იმის ღირსია, რომ ოვაციებით გავაცილოთ მოედნიდან? სამწუხაროდ, ეს პირველი შემთხვევა არ არის. გავიხსენოთ თუნდაც მ. შელიას გაძევება „ტიროლთან“ მატჩში — იქაც ოვაციები, ხვევნა-კოცნა...).



### მატჩი მეორე — რანგით გაცილებით მაღალი

**16 ნოემბერი.** თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი.

**50.000** მაყურებელი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: საქართველო (ეროვნული ნაკრები) — უელსი (ეროვნული ნაკრები) 5-0. მსაჯი: ა. სარსი (საფრანგეთი). უეფას დელეგატი: დოქტორი ტ.ო. ნეილი (ირლანდია).

საქართველო: დევაძე, რევიშვილი, ცხადაძე, შელია, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, ნემსაძე (ინალიშვილი), გოგრიჭიანი, ქეცბაია (ყაველაშვილი), ქინქლაძე, შ. არველაძე; უელსი: საუთჰოლი, ნეილსონი (საიმონსი), ბოუენი, მელვილი, კოლემანი, ფილიფსი, ჰორნი, სოუნდერსი, რაში, მ. ჰიუზი, სპიდი.

გოლები: ქეცბაია 2, ქინქლაძე, გოგრიჭიანი, შ. არველაძე.

გააფრთხილეს ცხადაძე, ჰიუზი, სპიდი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც ქართული ფეხბურთი დამოუკიდებლობას ეზიარა, არ მოუპოვებია ასეთი შთამბეჭდავი გამარჯვება. გაიხარა, გაილაღა, როგორც იქნა, ჩვენმა გულშემატკივარმა!

მეტოქეებმა ფრთხილად დაიწყეს. სტუმრებმა როგორც მოსალოდნელი იყო, ძირითადად სწრაფ კონტრშეტევებზე ააგეს თამაში, წინ მათ სახელგანთქმული რაში ჰყავდათ „მივლინებული“, რომელსაც აქტიურად ეხმარებოდნენ არანაკლებად ცნობილები ჰიუზი და სოუნდერსი (ამ უკანასკნელს პერსონალური დარაჯი ჰყავდა მიჩენილი — ჩიხრაძე). სოფიის მატჩთან შედარებით ჩვენს გუნდში, როგორც იქნა, გამოჩნდა „კვიპროსელი“ გოჩა გოგრიჭიანი, რომელიც მშვენივრად ჩაჯდა სათამაშო სქემაში (მატჩის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე ალექსანდრე ჩივაძემ გულწრფელად თქვა, რომ აწუხებდა როგორ გამონახავდა გოგრიჭიანი საერთო ენას თანაგუნდელებთან — მას ხომ ამ თაობის ფეხბურთელებთან ფაქტიურად არ უთამაშია). გოგრიჭიანის აქტიურმა, მახვილგონივრულმა მოქმედებამ ხელ-ფეხი გაუხსნა შოთა არველაძეს, რომელსაც წინა მატჩებში, ფაქტობრივად მარტო უწევდა წინა ხაზზე ბრძოლა. როგორც იქნა, ვიხილეთ ფლანგური გარღვევები (მარჯვნიდან გოგრიჭიან-გოგიჩაიშვილი, რევიშვილი, მარცხნიდან ქეცბაია), რომლის შემდეგაც გაჟღერდა ფაქ[illegible]ად ყველა გოლი.. თავგანწირულად და დამაჯერებლად ითამაშა დაცვითმა ხაზმა გამოცდილი კახი ცხადაძის მეთაურობით (სიტყვამ მოიტანა და გაცნობებთ, რომ სულ მალე იგი ტოვებს „აინტრახტს“ და გადავა სათამაშოდ ერთ-ერთ ინგლისურ კლუბში). ეს კია გულდასაწყვეტი, რომ მან სრულებით გაუმართლებლად „აიკიდა“ ყვითელი ბარათი, რომელიც მიმდინარე გათამაშებაში უკვე მეორეა. ამიტომ კახი 14 დეკემბერს ალბანეთში ვერ ითამაშებს.



თემურ ქეცბაიას პირველი გოლი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

### ცოტაც ეპილოგის ნაცვლად

მაშ ასე, მოპოვებულია შთამბეჭდავი, ლამაზი გამარჯვება ევროპის საკმაოდ ძლიერ, ძალისმიერ გუნდთან. შედეგი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ კიშინიოვში ნათამაშევ წინა შეხვედრისგან განსხვავებით უელსელები თბილისში პრაქტიკულად უძლიერესი შემადგენლობით ჩამოვიდნენ. ისინი საგულდაგულოდ ემზადებოდნენ ამ მატჩისათვის, საქართველოში ამას წინათ „მზვერავიც“ კი გამოგზავნეს — ნაკრების მთავარი მწვრთნელი, შეკრიბეს და დაამუშავეს ყველანაირი ინფორმაცია საქართველოს ნაკრებზე. მაგრამ სტუმრებს ვერაფერმა უშველა! თამაშის სწორად შერჩეულმა სტრატეგიულმა გეგმამ, მაღალმა სათამაშო დისციპლინამ და აღმაფრენამ, რომლითაც ჩვენი ბიჭები სათამაშოდ გამოვიდნენ, შედეგი გამოიღო. არადა, რამდენი ხელისშემშლელი მიზეზის გადალახვა მოუხდა ჩივაძეს და მის თანაშემწეებს, რათა სათანადო დონეზე მოემზადებინა გუნდი! თუნდაც ის ფაქტი რად ღირს — იმის მაგივრად, რომ გამოლოდნენ სასწავლო-საწვრთნელ პროცესს, ელექტროენერგიის უქონლობის გამო ნავთისა და ნავთქურისათვის დარბოდნენ, რათა გამოეკვებათ ფეხბურთელები!

... დასრულდა მატჩი. ალექსანდრე ჩივაძეს ათასობით გულშემატკივარი ოვაციით შეეგება. ეს ის მაყურებელია, რომელიც მოლდოვასთან წაგების შემდეგ ჯიქურად მოითხოვდა ნაკრების მთავარი მწვრთნელის გადადგომას. ამიტომ ნუ ვიქნებით სულსწრაფნი, ვიქონიოთ მოთმინება, შედეგი კი აუცილებლად მოვა, ვინაიდან დღევანდელ ქართულ საფეხბურთო მეურნეობაში ნამდვილი პროფესიონალები და საქმისათვის თავდადებული ადამიანები მუშაობენ.

**ჯემალ ჭიპაშვილი.**

# პირველად იყო ტაშკენტი...

## „მოვფრინავთ, დაგვხვდით, გვიცანით — ვახტანგი, გივი, რეზო, ნოდარი, და... შოთა რუსთაველი“.

ახეთი სახუმარო დეპეშა დაბეჭდა ტაშკენტის ერთ-ერთმა გაზეთმა, რამდენიმე დღის შემდეგ ყოველკვირეული „ფუტბოლი“ დაუბრუნდა „რუსთაველის თემას“ — ჩვენი საამაყო მგოსანი, დინამოელთა გამარჯვებით გახარებული, მხიარულად ცეკვავდა თავის ჩვეულ კვარცხლბეკზე მოზეიმე თანამემამულეთა გარემოცვაში. ეს ცნობილი მხატვრის იგორ მასინას მეგობრული კარიკატურა იყო ქართველ ფეხბურთელთა დიდ გამარჯვებაზე.

გადაჭარბება, კაცმა რომ თქვას, არც ერთ შემთხვევაში არ იყო: პრაქტიკულად მთელი საფეხბურთო საქართველო ჩაიძირა 1964 წლის 18 ნოემბრის მატჩზე უზბეკეთის დედაქალაქში, რომ იტყვიან, თბილისსა და ტაშკენტს შორის მართლაც საჰაერო ხიდი გაიბა. მერე კი ქართულმა კლუბმა, ლიხინი მოგცეთ, ღირსეულად იზეიმა თავისი პირველი ჩემპიონობა. რამდენჯერ იყვნენ თბილისის დინამოელები გათამაშების მეორე პრიზიორები, ხოლო მესამე ადგილზე ყველაზე მეტად — ექვსჯერ გავიდნენ, აი, პირველი კი...

... ის სეზონი თავიანთი რიგით 25-ე, ჩვენმა ფეხბურთელებმა ჩვეულებრივ დაიწყეს. მართალია გუნდში, როგორც იქნა, ხოჭიგორკი-მოსკოვის გაჭიანურებული ვოიაჟის შემდეგ გადმოვიდა ჩვენი თანამემამულე სლავა მეტრეველი და ალექსანდრ აფშევიც მოვიდა მოსკოვის „დინამოდან“ (ადრე იგი ნალჩიკის „სპარტაკში“ თამაშობდა), სამაგიეროდ, თბილისელთა დაცვამ დიდი დანაკლისი განიცადა — მწყობრიდან თითქმის ერთდროულად გამოვიდა ორი დიდებული მცველი — გივი ჩოხელი და შოთაშ ხურცილავა, აგრეთვე ძირითადი მეკარე სერგო კოტრიკაძე. გუნდის ახალმა მწვრთნელმა, ხინებულმა სპეციალისტმა მიხაილ იაკუშინმა მოხდენილად „ამოკემსა“ გარღვეული დინამოური ორგანიზმი — ნახევარდაცვიდან უკან დაზია ჯემალ ზეინკლიშვილი და გვერდით მეორე სტოპერად ენერგიული გურამ პეტრიაშვილი დაუყენა. ექსპერიმენტმა სავსებით გაამართლა — ჩვენი დაცვა კვლავ გაუვალი გახდა, რაც, თუნდაც ყველაზე ნაკლები დამარცხებიდანაც (ოთხი 32 მატჩში) დასტურდება.

პირველი მატჩი 28 მარტს ჩატარდა თბილისში — ვიცე-ჩემპიონთან და თასის მფლობელთან მოსკოვის „სპარტაკთან“. ლენინგრადელი არბიტრი პიოტრ ბელოვი უკვე თავის წამზომს დასცქეროდა, ფინალური სასტვენი რომ მიეცა, როდესაც მარჯვენა მცველი ბორის სიჭინავა (იგი ამ დღეს მშვენივრად გაუმკლავდა სწრაფ და ენერგიულ პუსაინოვს) შეიჭრა თეთრ-წითელმაისურიანთა საჯარიმოში და წამით დასწრო მცველებს შოთა იამანიძის მიერ ჩამოწოდებულ ბურთზე. დარტყმა უნაკლო იყო — 1-0. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ეს ბურთი მომავალი ჩემპიონის ოქროს ყულაბის სათვალავში შევიდოდა!

მომდევნო მატჩში ცსკა-სთან ანგარიში ისევ ბ. სიჭინავამ გახსნა ულამაზესი დარტყმით. ამას მოჰყვა ვლადიმერ ბარქაიას ორი გოლი. 3-0 — რიგელმა არბიტრმა მ. რუბენისმა თბილისის „დინამოს“ მეორე გამარჯვება აღნიშნა.

შემდეგ თბილისელებმა ერთნაირი ანგარიშით 2-0 დაამარცხეს ლენინგრადის „ზენიტი“, გორკის „ვოლგა“ და ოთხ მატჩში ქულათა მაქსიმუმი — 8 დააგროვეს.

ამასთან, ახალგაზრდა მეკარეს ნოდარ ლეჟავას ბურთი არ გაუშვია.

მხოლოდ მეხუთე შეხვედრაში (15 აპრილს) დაკარგეს დინამოელებმა ერთი ქულა „ყაიმების გუნდად“ წოდებულ კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან“ — 1-1.

პირველი გასვლითი მატჩი ჩვენს ფეხბურთელებს იაროსლავლში ჰქონდათ გათამაშების ლებიუტანტ „შინიკთან“. ერთადერთი ბურთი თამაშის დასაწყისშივე გაიტანა ბარქაიამ, რაც მისი მეხუთე გოლი იყო გათამაშებაში დინამოელთა მიერ შეგდებული 9 ბურთიდან.

ლიდერი მოსკოვს ეწვია, სადაც მატჩი ჰქონდა თავის ტრადიციულად ძნელ მეტოქესთან — ქვეყნის ჩემპიონ, ალვილობრივ „დინამოსთან“. ამ შეხვედრაში თბილისელებს პრაქტიკულად უკვე არ ჰყავდათ უფროსი მწვრთნელი. იხე, როგორც 1953 წელს, კოლექტივს კვლავ „მოაცილეს“ მ. იაკუშინი. ამ დღეს თბილისელთა დაცვისა და მეკარის სუსტი თამაშით კარგად ისარგებლა ახალგაზრდა მოსკოველმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ვშივცევმა და ჩვენს კარში ზედიზედ სამი ბურთი გაიტანა.

„დინამოში“ ახალი უფროსი მწვრთნელი — გავრილ კაჩალინი მოვიდა. კვლავ წავაგეთ, ამჯერად კიშინიოვში „მოლდოვასთან“ — 0-1. „წონასწორობა“ მეცხრე მატჩში აღსდგა, ეს იყო თბილისში „ქაირათთან“ (2-2). პირველი წრე 22 ქულით დავამთავრეთ. ლიდერმა — მოსკოვის „ტორპედომ“ მხოლოდ ერთი ქულით გაგვასწრო (მასთან გასვლითი მატჩი ფრედ — 1-1 დამთავრდა).

მეორე წრე თბილისელებმა არასახარბიელოდ დაიწყეს. თავიანთ შესახვედრში, მას შემდეგ, რაც მოსკოველი თანაგულებლები დაამარცხეს 2-1, ქართველმა ფეხბურთელებმა ზედიზედ მოიგეს 6 მატჩი (მათ შორის, მეტად პრინციპული მოსკოვის „ტორპედოსთან“ თბილისში — 3-1). ამ თამაშის ერთი დეტალი: როდესაც გუნდები ტოვებდნენ მინდორს, ჩასასვლელ გვირაბთან „სამხრეთ-მარცხენა“ ტრიბუნასთან, გულშემატკივრებმა დამარცხება „მიულოცეს“ მეტოქეთა კაპიტანს ვალენტინ ივანოვს. პასუხად გაისმა: „ვოტ ონ ვინოვატ!..“ გაბრაზებულმა ივანოვმა ხელი მის უკან მყოფ მეკარე ანზორ კავაზაშვილისაკენ გაიშვირა. არადა, მას არავითარი განსაკუთრებული ბრალი არ ედებოდა ტორპედოელთა დამარცხებაში. რაც შეეხება პირველი წრის მატჩს მოსკოვში, ის ერთი ქულა თავის გუნდს მხოლოდ კავაზაშვილის მაღალტექნიკურმა თამაშმა გადაურჩინა. ასეა თუ ისე, თბილისელები ახლა უკვე თავად უსწრებდნენ „ტორპედოს“ ასევე ერთი ქულით. კვლავ დაიკარგა ქულა „ქაირათთან“, დავჯრომეთ. სამწუხაროდ, ქულა ქუთაისშიც. და აი, ჩემპიონატის ფინიში: მოსკოვის „ტორპედომ“ და თბილისის „დინამომ“ ერთნაირი მაჩვენებლებით დაამთავრეს გათამაშება — 46 ქულა თითოეულს.

ჩემპიონის გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი მატჩი ნეიტრალურ მინდორზე — ტაშკენტში. აქვე ვიტყვით, რომ ერთხელ, 1947 წელს, ქვეყნის ჩემპიონი, ცდკა-სა და მოსკოვის „დინამოს“ შორის, ბურთების შეფარდებამ გამოავლინა — არმიელებს იგი რაღაც მეასედი ბურთით უკეთესი ალმოაჩნდათ მეტოქეზე. ცხადია, ყოველივე ეს აბსურდი გახლდათ და მომდევნო წლებში ამ წესზე ფეხბურთის ფედერაციამ უარი თქვა. მით უფრო გაუგებარი და გულამაჩუყებელი იყო გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ ფურცლებზე ვინმე ვ. ემელიანოვის გამოსვლა. როგორც ჩანს, მას მოსვენებას არ აძლევდა მოსალოდნელი ზეიმი „მტკვრის ნაპირებზე“, ისეთივე როგორიც მანამდე პელესა და გარინჩას თანამემამულეთა დღესასწაული ბრაზილიელ ფეხბურთელთა გამარჯვების შემდეგ. ავტორს პირდაპირ ნერწყვი მოსდიოდა ქართველთა „სამარადჟამო სადღეგრძელოების, მოშიშხინე მწვადებისა და გამარჯვებულთა ცეკვა-თამაშზე“ ფიქრით. ამიტომ იყო, რომ იგი უაღგილო, მეტად უტაქტო წინადადებას აყენებდა... ჩემპიონი კვლავ ბურთების სხვაობით გამოევლინებინათ, ამასთან, ვ. ემელიანოვმა ლიდი[illegible]



„დაგვხვდით, ბიჭებო...“

(ჯერ კიდევ არავინ იცოდა, რით დამთავრდებოდა გადამწყვეტი ბრძოლა ტაშკენტის „პახტაქორის“ სტადიონზე?!).

ფოტო ავტორის არქივიდან.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● „ატლეტიკოს“ პრეზიდენტი ხესუს ჰილი გაემგზავრა იტალიას, რათა მოელაპარაკოს იქ მოთამაშე პორტუგალიელ პაულო ფუტრეს ესპანეთში გადასვლის თაობაზე. მე ჯერ არ მაქვს 4,8 მილიონი დოლარი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ფუტრეს არ სურს იტალიაში დარჩენა. ამიტომ იქაურებს შემიძლია შევთავაზო ორი მაღალი კლასის ფეხბურთელი, — განაცხადა პრეზიდენტმა ესპანელ ჟურნალისტებთან საუბარში.

● ეთიოპიის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით დაიშლება ქვეყნის ნაკრები, რომელმაც 15 ოქტომბერს სამარცხვინო მარცხი განიცადა უგანდასთან — 1:4 (ეს იყო აზიის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი). ამიერიდან მთავარ გუნდში მოთამაშეებს მიიწვევს მწვრთნელი კი არა, ფედერაციის ტექნიკური კომიტეტი.

● „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველმა მარკ ჰიუზმა განაცხადა, რომ წავა გუნდიდან თუ კონტრაქტს კიდევ 4 წლით არ გაუგრძელებენ. არადა, კლუბს სურვილი აქვს დაუდოს ფეხბურთელს კონტრაქტი მხოლოდ ერთი წლით.

● სოფიის „ლევსკის“ პრეზიდენტმა თომას ლავჩისმა ჯენტლმენური შეთანხმება დაარღვია ხელფასების მომატების თაობაზე. ამ ფაქტის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა გუნდის კაპიტანმა მასკაო სირაკოვმა, მაგრამ 32 წლის ფეხბურთელს არაფერი გამოუვიდა. პირიქით, პრეზიდენტს მხარი დაუჭირა კლუბის ალმასკომმა და კაპიტანს, საბოლოო ჯამში, დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს.

● კრახით დამთავრდა მოლაპარაკება „ნიუკასლის“ მწვრთნელ კევინ კიგანსა და იტალიის „ლაციოს“ შორის ინგლისელ პოლ გასკოინის გამოსყიდვის თაობაზე. იტალიელებმა უარი თქვეს „ნიუკასლის“ მიერ შემოთავაზებულ 6 მილიონ დოლარზე. არადა, ობიექტურად, გასკოინი ხანგრძლივი ტრავმის გამო „ლაციოს“ ზედმეტ ტვირთად აწევს. იტალიელთა მწვრთნელმა დინო ძოფიმ კატეგორიულად განუცხადა მუშტრებს, რომ ფეხბურთელის გაყიდვას ზაფხულამდე არ ვაპირებთ. სულ მალე გასკოინი ჩავა ლონდონში, პრინცესა გეისის კლინიკაში, სადაც აპრილში ჩასმულ ლითონის სამაგრებს მოაშორებენ. ერთი დეტალი: „ლაციოს“ გასკოინში 9 მილიონი დოლარი აქვს გადახდილი, ამიტომაც არ მიდის იგი წამგებიან გარიგებაზე.

● გერმანიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელს ბერტი ფოგტსს მსოფლიოს ჩემპიონატზე წარუმატებლობისათვის ჟურნალისტები არ სწყალობენ. ახლა მათ ახალი საბაბი მიილეს კრიტიკისათვის. საქმე ის გახლავთ, რომ მწვრთნელმა მოითხოვა დამატებითი ჰონორარები იმ ფეხბურთელთათვის, რომლებიც საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს ითამაშებენ. ეს, მისი აზრით, სპორტსმენისთვის დამატებითი სტიმული იქნება, მაგრამ თავად ფეხბურთელებს, ეტყობა ფული არ სჭირდებათ. ლოთარ მათეუსმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა: „ზედმეტ ფულს, რა თქმა უნდა, ავიღებ, მაგრამ არა მგონია, რომ ეს ნაბიჯი სასურველ შედეგს გამოიღებს. სხვათა შორის, მწვრთნელს მხარი არც ფეხბურთის კავშირის ხელმძღვანელობამ დაუჭირა.

● ინგლისელი მწვრთნელი ჰოვარდ კენდალი, რომელიც საბერძნეთის „ქსანტს“ ავარჯიშებდა, ოჯახური პირობების გამო სამშობლოში დაბრუნდა. არადა, ბერძნებს ეჭვი აქვთ, რომ ოჯახი, ამ შემთხვევაში, არაფერ შუაში იყო. უბრალოდ, ინგლისელი სპეციალისტი გადაიბირა „ევერტონმა“, რომელსაც ამჟამად უჭირს. მით, უფრო, რომ ადრე კენდალი ორი სეზონი მუშაობდა ამ კლუბში.

● ზიგფრიდ ჰელდი პირველი გერმანელი მწვრთნელია, რომელიც იმუშავებს იაპონიაში კლუბ „მაცუშიტა-გამბასთან“. 52 წლის სპეციალისტი ამომავალი მზის ქვეყანაში ჩავა ახალი წელს, როგორც კი დაუმთავრდება კონტრაქტის ვადა დრეზდენის „დინამოსთან“.

● ავსტრიელი ანდრეას ჰერცოგი (ამჟამად ბრემენის „ვერდერში“ გამოდის) აცხადებს, რომ არაფრით არ ითამაშებს თავისი ქვეყნის ნაკრებში. იგი სერიოზულად არის ნაწყენი მწვრთნელ ჰერბერტ პროხასკაზე, რომელმაც იგი არ ათამაშა ჩრდილოეთ ირლანდიელებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩზე.

● რუსეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის პრესსამსახურმა ოფიციალური ცნობა გამოაქვეყნა იმის თაობაზე, რომ ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელი ვალერი ოვჩინიკოვი გადაყენებულია ამ თანამდებობებიდან და ეკრძალება ყოველგვარი საქმიანობა ლიგის სტრუქტურაში.

● ინგლისელი ფანატიკოსები კვლავ ხულიგნობენ. სულ ახლახან, მატჩის წინ ევროპის ლიგის „ა“ ჯგუფში ესპანეთის „ბარსელონასთან“, ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივრებმა ესპანეთის საკურორტო ზონა კოსტაბრავოში ენით აუწერელი აურზაური მოაწყეს, იქაურობა მთელი ღამე მათი ღრიანცელით იყო აკლებული, მაცხოვრებლები მხოლოდ საკუთარი ძალებით ებრძოდნენ ხულიგნებს, ვინაიდან ადგილობრივმა პოლიციამ თავი აარიდა ინგლისელებთან უთანხმოებას და არავინ დაუპატიმრებია. „მანჩესტერ იუნაიტედი“ ამ მატჩში, როგორც ცნობილია, სასტიკად დამარცხდა — 0-4.

● 25 ნოემბერს გაიმართება რუსეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის საანგარიშო კონფერენცია, აირჩევენ ახალ პრეზიდენტს.

ლიგის პრეს-სამსახურმა ცნობა გამოაქვეყნა, რომ შემოსულია მხოლოდ ერთი კანდიდატის განაცხადი. მოსკოვის „დინამომ“ ამ თანამდებობაზე წამოაყენა საკუთარი პრეზიდენტი ნიკოლოზ ტოლსტიხი.

● სამხრეთ კორეამ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში წარადგინა ოფიციალური განაცხადი, რომ სურს უმასპინძლოს 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატს. კორეის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჩუკ მონ ჩუუნმა, რომელიც ამავე დროს ფიფას ვიცე-პრეზიდენტი გახლავთ აზიაში, განაცხადა, რომ კორეამ ღირსეულად გაართვა თავი 1988 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს და ასევე მაღალ დონეზე უმასპინძლებს საფეხბურთო ჩემპიონატს.

● ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორ ქვეყანას საბოლოოდ 1996 წლის ივნისში დაასახელებს.

● დასრულდა რუსეთის ჩემპიონატი. პირველ ადგილზე კვლავ მოსკოვის „სპარტაკია“, რომელმაც მესამედ მოიპოვა ჩემპიონის წოდება. სპარტაკელებს 50 ქულა აქვთ, მეორე ადგილზეა მოსკოვის „დინამო“ (39), მესამეზე — მოსკოვის „ლოკომოტივი“ (35). ბოლო ორი ადგილი დაიკავეს სტავროპოლის „დინამომ“ და ტოლიატის „ლადამ“ (შესაბამისად 23 და 22 ქულა).

## რა ხდება ქვეყანაში

● მოსკოვში, საჭადრაკო ოლიმპიადის დღეებში გაიმართება საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) 65-ე კონგრესი, რომელზეც თავის უფლებამოსილებას მოიხსნის ამ ორგანიზაციის ახლანდელი პრეზიდენტი ფლორენსიო კამპომანესი. ფიდემ, ამავე დროს, მიიღო გადაწყვეტილება 1995 წლის 1 იანვრიდან აღუდგინოს ფედერაციის რეიტინგი გარი კასპაროვს და ნაიჯელ შორტს. კამპომანესის აზრით, კასპაროვი ლოიალურად ექცევა ფიდეს, ამიტომაც შეიძლება მისთვის რეიტინგის დაბრუნება.

● გაისად, 21 იანვარს, სევილიაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს დაიცავს ამერიკელი მოკრივე ოლივერ მაკოლი. იგი შეხვდება თავის თანამემამულეს, მსოფლიოს ექსჩემპიონ 45 წლის ლერი ჰოლმსს. ეს განაცხადა მაკოლის პრომოუტერმა დონ კინგმა. შეგახსენებთ, რომ ჰოლმსი ჩემპიონის ქამარს ფლობდა 1978-83 წლებში. კინგის აზრით, ორი ამერიკელი მოკრივის ბრძოლის გამართვა სევილიაში ბრწყინვალე იდეაა, ვინაიდან ეს ქალაქი აპირებს წამოაყენოს თავისი კანდიდატურა 2004 წლის ოლიმპიადის სამასპინძლოდ.

● მაკლარენ-ჰონდას ბოლიდი, რომლითაც ბრაზილიელმა ავტომრბოლმა აირტონ სენამ 1991 წელს მესამედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული „ფორმულა-1“-ში, ამჟამად სამუზეუმო ექსპონატია. ფორმულის მე-15 ეტაპზე იგი ჩაიტანეს იაპონიაში, როგორც რელიქვია და გამოფინეს ზედ სტარტზე. ერთ-ერთი საპატიო სტუმარი სუძუკის ტრასაზე გახლდათ აირტონ სენას უფროსი და ვივიენი, რომელიც გულშემატკივრების თხოვნით, სპეციალურად ჩაფრინდა რიოდან იაპონიაში.

● მსოფლიოს №1 ველოსიპედისტი (ელექტრონული რეიტინგით) შვეიცარიელი ტონი რომინგერი შეეცდება თავისივე მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებას ერთსაათიან რბოლაში ფირმა „კოლნაგოს“ ახალთახალი ველოსიპედით. მანქანის წონაა 6,5 კგ. ეს 1 კილოგრამით უფრო მსუბუქია, ვიდრე ის ველოსიპედი, რომლითაც რეკორდის დამყარებას აპირებდა ესპანელი მიგელ ინდურაინი. გარდა ამისა, რომინგერი გამოიყენებს გადამცემს, რომლითაც ადრე არასოდეს უსარგებლია. მწვრთნელი დოქტორ მიკელე ფერარი კმაყოფილია ველოსიპედის მომზადებით. ამ დღეებში მან ჟურნალისტებს განუცხადა: „ტონი ბრწყინვალე ფორმაშია და მინდა დაგარწმუნოთ, რომ საათში 54 კილომეტრი მისთვის არ არის პრობლემა“.

● ბელგიის ერთ-ერთი უძლიერესი პროფესიონალი ველოსიპედისტი ვილფრიდ ნელისენი მომავალ სეზონს „ლოტოს“ კლუბის შემადგენლობაში გაატარებს. აქამდე იგი იცავდა „ნოვემაის“ ღირსებას.

● ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ევროპის ასოციაციას ახალი სრულუფლებიანი წევრი შეემატა. ესაა ისრაელი, რომელიც კარგა ხანია იბრძვის ამ ორგანიზაციაში შესასვლელად. სოკის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის თქმით, ეს გადაწყვეტილება ლოგიკურია, ვინაიდან ამ ქვეყნის სპორტსმენები, რომლებიც ადრე პრაქტიკულად ჩამოცილებულნი იყვნენ ოლიმპიურ მოძრაობას, ამჟამად ყველა ღონისძიებაში მონაწილეობენ და იცავენ ოლიმპიური ქარტიის მოთხოვნებს.

● რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით ამერიკელი ჩოგბურთელი ჯენიფერ კაპრიატი ერთწლიანი შესვენების შემდეგ უბრუნდება კორტს. ბარსელონის ოლიმპიადის 18 წლის ჩემპიონი პირველად თავის თავს გამოცდის „ვირჯინია სლიმზის“ სერიის ტურნირში, რომელიც ფილადელფიაში მოეწყობა.

● ნორვეგიის მეფემ ჰარალდ V კარგა ხანია უღალატა საგარეუბლო გატაცებას — თხილამურებსა და იალქნიან ნავებს და ფეხბურთისკენ იბრუნა პირი. იგი თვლის, რომ მეფეს უნდა უყვარდეს ყველაზე პოპულარული, ნამდვილად მეფური სპორტი. ინგლისში ერთკვირიანი ოფიციალური ვიზიტის დროს ჰარალდ V მოინახულებს „კრისტალ პალასის“ კლუბს. როგორც ჟურნალისტები ამბობენ ამ ტერიტ რიაეე ასეთი მაღალი რანგის სტუმარი არასდროს ყოფილა.

● ტრაგიკულად დასრულდა ინტერნაციონალური ექსპედიცია ჰიმალაის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალ კანჩენჯანგაზე (8585 მ). მოულოდნელმა ზვავმა წალეკა დამხმარე ბანაკი, სადაც ბოლო შტურმის წინ ისვენებდნენ: ეკატერინე ივანოვა (ირკუტსკი), სერგეი უვიროლი (ბელორუსია) და იორდანკა დიმიტროვა (ბულგარეთი).

## რა ხდება ქვეყანაში



თბილისი, სპორტის სასახლე, 1964 წლის 1 დეკემბერი, ზეიმობს ახალი ჩემპიონი — თბილისის „დინამო“, დიდ გამარჯვებას ზეიმობს ქართველი ხალხი.

სურათზე: უკანა რიგში (მარცხნიდან) — ავთანდილ ღოღობერიძე, გავრილ კაჩალინი და ალიოშა კოტრიკაძე; შუა რიგში — გურამ პეტრიაშვილი, ალექსანდრ აფშევი, ვლადიმერ ბარქაია, ილია დათუნაშვილი, გურამ ცხოვრებოვი, ჯემალ ზეინკლიშვილი, ვახტანგ რეხვიაშვილი, ბორის სიჭინავა, სერგო კოტრიკაძე, შოთა იამანიძე; წინა რიგში — გუნდის მასაჟისტი ნიკოლოზ მუზაშვილი, ნოდარ ლეჟავა, ვახტანგ ჭელიძე, ვლადიმერ კოპინი, ნომალ მაისურაძე, თამაზ სახვაძე, ალექსეი ილიადი, ელგუჯა ხუციშვილი, დემურ ვეკუა (კადრში არ ჩანან ომარ ნარსია და გოჩა ხარტიშვილი). წინა პლანზე — რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ფეხბურთში დავით ცომაია.

შენიშვნა: მოზეიმეთა შორის სპორტის სასახლეში ამ დღეს არ იყვნენ ჩემპიონის ოქროს მედლების მფლობელები მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი და გიორგი სიჭინავა. ისინი ტორპედოელ ვალენტინ ივანოვთან და ვალერი ვორონინთან ერთად პირდაპირ ტაშკენტიდან გაფრინდნენ მოსკოვს, რათა საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში მონაწილეობა მიეღოთ იუგოსლავიისა (ბელგრადში) და ბულგარეთის (სოფიაში) ნაკრებ გუნდებთან ამხანაგურ მატჩებში.

ვარლამ ბენბიურის ფოტო.

ფანტაზია და მოხვენებები გამოიჩინა, როდესაც განაცხადა, რომ ვ. ბარქაიამ თამაშიდან გამოიყვანა მოსკოველთა იმედი ივანოვი“.

როგორც იტყვიან, შეუნდოთ!

...ტაშკენტის „ფახთაქორის“ სტადიონზე მოსულ თბილისის დინამოელებს თანამემამულეთა იმდენი დეპეშა დახვდათ, რომ წასაკითხად მთელი ტაიმი იყო საჭირო. ღელავდნენ ბიჭები. რამდენჯერ იყვნენ ახლოს ჩემპიონის ოქროს მედლებთან და აკი მუდამ გაუფრინდებოდათ ხოლმე ისინი ხელიდან.

იქნებ ახლა მაინც?!

ტორპედოელებმა კარში კავაზაშვილის ნაცვლად, ცხადია, სათადარიგო მეკარე შაპოვალენკო დააყენეს. ასეც ვიცოდით! მათ რიგებში არც სახიფათო ბატანოვი იყო.

თუ პროგნოზებს დავუჯერებთ, უპირატესობა აშკარად „დინამოს“ მხარეს იყო.

იქნებ იმიტომაც, რომ იმ დღეებში ტაშკენტის მოსახლეობა „ერთი-ორად“ გაიზარდა საქართველოდან ჩასულ გულშემატკივართა ხარჯზე. ქალაქის მთავარი სასტუმრო „ტაშკენტი“ ხომ მთლიანად დინამოელთა ქომაგებით იყო სავსე.

ერთ სურათს ვინახავ სათუთად საშინაო არქივში (ფოტოს აქვე ვაქვეყნებთ) — ცხონებულმა გურამ აკობაშვილმა მისახსოვრა, არ ვიცი მხოლოდ ვინ გადაიღო: თბილისის დინამოელები ტაშკენტის სტადიონზე გადამწყვეტ მატჩზე გამოდიან გვირაბიდან. წინ ჯემალ ზეინკლიშვილი მიუძღვით ბურთით ხელში. ამბობენ, სწორედ მან დაძლია პირველმა მატჩისწინა მღელვარება და ომახიანად დაიძახა: „წავედით, ბიჭებო!“ უკან მას ვახტანგ რეხვიაშვილი, ბორის სიჭინავა, გიორგი სიჭინავა, სერგო კოტრიკაძე, შოთა იამანიძე, გურამ ცხოვრებოვი მიჰყვებიან. არც ერთი თავდამსხმელი, როგორც ხედავთ! ეტყობა, ისინი კიდევ უფრო ღელავდნენ. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მატჩის დასაწყისში მხოლოდ ტორპედოელი ფორვარდები ჩანდნენ მინდორზე. ივანოვმა, შჩერბაკოვმა, სოლოვიოვმა და სერგეევმა ზურგიდან ვორონინისა და მარუშკოს მხარდაჭერით ენერგიულად შეუტიეს ჩვენი კარის მისადგომებს. გული საგულეს არ გვქონდა, ნუთუ „ამჯერადაც“?! გაფიქრებაც არ გვინდოდა ამისა.

ცხადია, ორივე მხარე ღელავდა, მაგრამ ტორპედოელებმა უფრო მალე მოთოკეს ნერვები. ახალგაზრდა ცენტრალური თავდამსხმელი შჩერბაკოვი პირდაპირ მოსვენებას არ აძლევდა ჩვენს ვახტანგ რეხვიაშვილს. ერთ მომენტში მოსკოველმა ათიოდე მეტრიდან ძლიერი თავური დარტყმით ძელს მოახვედრა ბურთი. მეტად სახიფათონი იყვნენ ივანოვი და ვორონინი. დასაწყისში დინამოელთაგან თავდამსხმელები მხოლოდ მეტრეველი თუ გამოირჩეოდა. აი უკანა ხაზებში კი საიმედოდ თამაშობდა მეკარე კოტრიკაძე. ასე განვლო პირველმა ტაიმმა. ეს იყო უმძიმესი 45 წუთი ჩვენი გუნდისათვის...

მეორე ტაიმის მე-11 წუთზე მობილურმა შჩერბაკოვმა მაინც გაგვიტანა გოლი — ზედიზედ აუარა ჩვენს სამ მცველს და ძლიერად დაარტყა კარის დაბალ კუთხეში — 0-1. რამდენჯერ ვყოფილვარ ასეთ სიტუაციაში, როდესაც ქართველი ფეხბურთელები გუნებაწამხდარნი, ფაქტიურად თავს ანებებდნენ აქტიურ ბრძოლას. ნუთუ ახლაც განმეორდება ეს?!

ნურას უკაცრავად! ტაშკენტის „ოქროს მატჩში“ მსგავსი არაფერი მომხდარა. ჩვენი ფეხბურთელები თითქოს ამას უცდიდნენ, ჯიქურ ეკვეთნენ მეტოქის ნახევარს, მთელი ძალით ამოქმედდნენ, დინამოელთა იერიში იერიშს მოსდევდა. მოედანი დასტოვა ტორპედოელთა კაპიტანმა ივანოვმა, რომელიც სიდოროვმა შეცვალა. ჩვენები კიდევ უფრო გააქტიურდნენ, ზედიზედ ვაწვდით კუთხურებს. 72-ე წუთზე ილია დათუნაშვილმა კუთხურიდან ისე „ჩააზვია“ ბურთი, რომ იგი თავისით შევიდა კარში 1-1.

დაინიშნა დამატებითი 30 წუთი. ახლა თამაშს მთლიანად „დინამო“ კარნახობდა. სულ ორიოდე წუთი იყო გასული, რომ იმავე დათუნაშვილმა (რომლისთვისაც ეს საუკეთესო მატჩი იყო) მესხის ჩაწოდება უძლიერესი დარტყმით დააგვირგვინა და მეორედ აილო მოსკოველთა კარი 2-1.

უკვე მერამდენედ მოატყუა მესხმა თავისი დარაჯი ანდრეიუკი და მესამე ბურთი გაგზავნა ბადეში — 3-1.

ახლა ტორპედოელთა მარცხენა მცველმა „დაასწრო“ ბარქაიას და ხელით შეეხო ბურთს. პენალტი: მეტრეველმა ზუსტად შეასრულა დარტყმა — 4-1. ამის შემდეგ ძელმა ორჯერ იხსნა „ტორპედოს“ კარი...

თბილისის „დინამომ“ პირველად მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედლები. პირთამდე სავსე სტადიონზე კარგა ხანს ენთო სახელდახელო ჩირაღდნები ქართული ფეხბურთის დიდი გამარჯვების აღსანიშნავად.

ეს იყო სამი ათეული წლის წინათ, 1964 წლის 18 ნოემბერს...

ოთარ ნოზაძე

# ნბა-ს ამბები

4 ნოემბერს აშშ-ს სხვადასხვა ქალაქში დაიწყო ნბა-ს 1994-1995 წლების რეგულარული ჩემპიონატი. მანამდე კი, სამზადისის პერიოდში ბევრი საინტერესო რამ მოხდა, რომელთაგან ზოგიერთ სიახლეს გაგაცნობთ.

● ერთ-ერთი ბოლო გაცვლა დაფიქსირდა „გოლდენ სტეიტსა“ და „მაიამი ჰიტს“ შორის. „გოლდენ სტეიტმა“ თავისი ფორვარდი ბილი ოუენსი დაუთმო მეტოქეს და სანაცვლოდ მიიღო ცენტრ-ფორვარდი რონი საიკლი. აღნიშნულმა კალათბურთელებმა თავის დროზე დაამთავრეს სირაკიუზის უნივერსიტეტი. ისინი საუკეთესო მოთამაშეებად ითვლებოდნენ თავიანთ ამპლუაში. 29 წლის საიკლი (სიმაღლე 211 სმ) წარმოშობით ლიბანელია. შარშანდელ სეზონში მას თავისი გუნდისთვის საშუალოდ 15,1 ქულა მოჰქონდა, ამავე დროს საკმაოდ ეფექტურად იბრძოდა ფარქვეშ — ერთ მატჩში — 10,3 ქულა. ოუენსის ანალოგიური მაჩვენებლები, ფაქტობრივად იდენტურია — 15,0 და 8,1. 1989-90 წლების სეზონში საიკლი დაჯილდოვდა ყველაზე პერსპექტიული მოთამაშის პრიზით. ოუენსი კი 1990 წელს აშშ-ს ნაკრების ღირსებას იცავდა კეთილი ნების თამაშებზე და შეყვანილი იყო საუკეთესო ახალბედათა ხუთეულში. ოუენსის გარდა — „მაიამი ჰიტში“ გადავიდა სერბი პრედრაგა დანილოვიჩი, რომელიც მანამდე ბოლონიის (იტალია) „ბაკლერში“ გამოდიოდა.

● ექიმები ვარაუდობდნენ, რომ „ფინიქს სანსის“ ლიდერი ჩარლზ ბარკლი გამოტოვებს რეგულარული ტურნირის სასტარტო მატჩებს. მიზეზი გახლავთ ტრავმა, რომელიც კალათბურთელმა მიიღო „მილუოკისთან“ საკონტროლო მატჩში. შარშან ბარკლის გადაწყვეტილი ჰქონდა სპორტიდან წასვლა, ვინაიდან აწუხებდა ყრუ ტკივილები ხერხემლის არეში. მაგრამ შემოდგომისთვის მისი ჯანმრთელობა გაუმჯობესდა და დარჩა გუნდში.

● როგორც ლიგის დირექტორატი იუწყება, წლევანდელ რეგულარულ ტურნირზე ბილეთების ღირებულება საშუალოდ 9 პროცენტით გაიზარდა. ამჟამად კალათბურთის მოყვარულს მისთვის სასურველ მატჩზე მოხვედრა საშუალოდ 29,5 დოლარი დაუჯდება. რაც მართალია, არც ისე იაფია, მაგრამ სპორტის სხვა სახეობებთან შედარებით მაინც ხელმისაწვდომია. ერთი ბილეთის ფასი ამერიკულ ფეხბურთზე საშუალოდ 31 დოლარი ღირს, ჰოკეისტთა ეროვნული ლიგის მატჩზე — 34. ამ მხრივ ყველაზე „ნამუსიანად“ კეტბურთელები იქცევიან, სადაც ბილეთის ღირებულება 11 დოლარის ფარგლებში მერყეობს. და კიდევ ერთი ცნობა: ნბა-ში ყველაზე ძვირად ბილეთებს ნიუ-იორკში, „მედისონ სკვერ გარდენის“ არენაზე ჰყიდიან — საშუალოდ 44 დოლარი.

● „სან-ანტონიო სპერსის“ ხელმძღვანელობამ დისკვალიფიკაცია მიუსაჯა ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეს დენის როდმანს საქციელისთვის, რომელიც ზიანს აყენებდა გუნდის პრესტიჟს. ცნობილი გახდა სანქციაც — 3 მატჩი. როდმანმა უკვე გამოტოვა შეხვედრები „გოლდენ სტეიტთან“ და „ნიუ-ჯერსისთან“.

● „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსმა“ და „ლოს-ანჯელეს კლიპერსმა“ სეზონის ორი პირველი მატჩი (ერთმანეთში) იაპონიის ქალაქ იოკოჰამაში გამართეს 4 და 5 ნოემბერს. პირველ ორთაბრძოლაში მასპინძლად „კლიპერსი“ ითვლებოდა, მეორეში — „პორტლენდი“. ყოველ ორთაბრძოლას დაესწრო მაყურებლების მაქსიმუმი — 15.640 კაცი. არადა მსურველი გაცილებით მეტი იყო. ეს გახლდათ მესამე შემთხვევა, როცა ნბა-ს კლუბები სეზონს იაპონიაში ხსნიან. პირველად ამომავალი მზის ქვეყანაში ასეთი ვოიაჟი მოაწყვეს „ფინიქსმა“ და „იუტამ“ ოთხი წლის წინ.

● „სან-ანტონიოს“ ფორვარდმა ანტუან კარმა, რომელიც ლიგაში ცნობილია, როგორც ფიზიკურად ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კალათბურთელი, ხელი მოაწერა კონტრაქტს „იუტასთან“. 33 წლის კარი (206 სმ) ნბა-ში ათი წელია თამაშობს, ადრე იგი „ატლანტისა“ და „საკრამენტოს“ ღირსებას იცავდა. შარშანდელ სეზონში ტრავმის გამო ის მხოლოდ 34 შეხვედრაში მონაწილეობდა „სან-ანტონიო სპერსის“ შემადგენლობაში და ამის გამო დაბალი შედეგიანობა ჰქონდა — საშუალოდ 5,8 ქულა. საუკეთესო სნაიპერული თვისებები კი 1990-91 წლების სეზონში გამოავლინა — 20,1 ქულა.

● ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური მოთხოვნა ნბა-ში. 1994 წლის დრაფტის №1 კალათბურთელმა გლენ რობინსონმა „მილუოკს“ მოსთხოვა 100-მილიონ დოლარიანი კონტრაქტი. ამან გააბრაზა „დენვერის“ ზაირელი ცენტრ-ფორვარდი დიკემბე მუტომბო. იგი გაკვირვებულია, რატომ ითხოვს რობინსონი ასეთ თანხას. მას ხომ ჯერ არაფერი გაუკეთებია ნბა-სთვის. თუ „მილუოკი“ დააკმაყოფილებს თავხედი კალათბურთელის მოთხოვნებს, მაშინ მუტომბო თავის კლუბს 150-მილიონიან პრეტენზიას წაუყენებს, ვინაიდან თვლის, რომ რობინსონს ზუსტად 50 მილიონით სჯობია. არადა, მუტომბოს „დენვერთან“ დადებული აქვს ხუთწლიანი კონტრაქტი 16 მილიონ დოლარზე. სულ ახლახან ცნობილი გახდა, რომ რობინსონს „არ გაუვიდა ნომერი“, თუმცა „მილუოკს“ სარეკორდო თანხა — 68,1 მილიონი დოლარი (10 წლის ვადით) მაინც წაგლიჯა. სხვათა შორის, ამ სკანდალურ გარიგებაში მხარეებმა ვაჭრობის მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნეს. რობინსონი ითხოვდა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, 100 მილიონ დოლარს და 13-წლიან კონტრაქტს, „მილუოკი“ კი სთავაზობდა 60 მილიონს და 9-წლიან კონტრაქტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთ „ლელოს“ და ჟურნალ „მართვეს“ რედაქციები თანაგრძნობას უცხადებენ თამაზ და ნანა კვაჭანტირაძეს

სულიკო კვაჭანტირაძის

გარდაცვალების გამო.

შალვა სალარეიშვილი, იოსებ გოცირიძე, გურამ ჯოხაძე, ნოდარ გუგუშვილი, თენგიზ გაჩეჩილაძე, ბიჭიკო ქორქია, უშანგი ქიჭინაძე, ვანდი ხანდამიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სპორტის ოსტატი ველოსპორტში

ნიკოლოზ (ნუკრი)

ლეჟავა

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ქ. თბილისის სპორტკომიტეტი თანაუგრძნობს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ფარიკაობაში გიორგი დავითიანს შვილის

მიშიკო კანკავას

გარდაცვალების გამო.

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

● ბუენოს აირესი. სამხრეთ ამერიკის სუპერთასის პირველი ფინალური მატჩი ფეხბურთში. „ბოკა ხუნიორსი“ (არგენტინა) — „ინდეპენდიენტე“ (არგენტინა) 1:1. ანგარიში 25-ე წუთზე გახსნა მარტინესმა („ხუნიორსი“), 72-ე წუთზე კი საპასუხო გოლი გაიტანა რამბერტმა.

● ნიუ-იორკი. ცხენოსნობა. დაბრკოლებათა გადალახვა. საერთაშორისო ტურნირი — „ეროვნებათა თასი“. 1. აშშ (მაკლეინ ვარდი, ლესლი ლენეჰენი) — 4 საჯარიმო ქულა, 2. შვეიცარია — 8, 3. კანადა — 22,[illegible], 4. გერმანია — 29,25.

● სიდნეი. მსოფლიოს ჩემპიონატი „ამერიკის“ კლასის იალქნიან ნავებში. ჯონ ბერტრანი (ავსტრალია) ლიდერობს 30 ქულით. მისმა იახტამ ზედიზედ 3 რბოლა მოიგო.

● რეიკიავიკი. საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში. ვაჟები. ისლანდია — იტალია 26:15, დანია — ესპანეთი 22:21, საფრანგეთი — შვეიცარია 23:19, შვეცია — ნორვეგია 29:25.

● სტორდი (ნორვეგია). საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში. ქალები. ნორვეგია — რუმინეთი 24:16, ავსტრია — საფრანგეთი 24:20, რუსეთი — აშშ 32:15.

● დორტმუნდი. ტანმოვარჯიშეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც გერმანიის ამ ქალაქში ტარდება, მთავარი ფავორიტი — რუსეთის ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვა: ქალები — სვეტლანა ხორკინა, დინა კოჩეტკოვა, ოქსანა ფაბრიჩნოვა, ევგენია როშინა, ელენა გროშევა, ნატალია ივანოვა, ელენა ლებედევა. ვაჟები — ევგენი კარმანენკო, ევგენი შაბაევი, ალექსი ვოროპაევი, ალექსი ნემოვი, დმიტრი ჟუკოვი, დმიტრი ვასილენკო, დმიტრი ტრუში.

● კალათბურთი. ევროპის საკლუბო ჩემპიონატი. II ტურის შემდეგ ლიდერობენ „ა“ ჯგუფი. ცსკა (მოსკოვი) — 4 ქულა, „რეალი“ (მადრიდი) — 4 ქულა. „ბ“ ჯგუფი. „ბარსელონა“ (ესპანეთი) — 4 ქულა, „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) — 4 ქულა.

# მოსკოვის საჭადრაკო ოლიმპიადაზე

### კამპომანესი შეურიგებელია

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, ფილიპინელი ფლორენსიო კამპომანესი ამ ორგანიზაციას სათავეში უდგას 1982 წლიდან, დეკემბრიდან კი ფიდეს ახალი ხელმძღვანელი უნდა მოევლინოს. კამპომანესმა ადრე არაერთგზის განაცხადა, რომ აღარ აპირებს პრეზიდენტის სავარძლისთვის ბრძოლას, თუმცა, ფილიპინელს, რომელიც ფიდეს გამო მრავალ სკანდალშია გახვეული, ადრეც არაერთგზის შეუცვლია თავისი გადაწყვეტილება.

ფ. კამპომანესმა რუსეთის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტთან ანდრეი მაკაროვთან საუბარში განაცხადა, რომ შეურიგებელია იმ დიდოსტატთა მიმართ, ვინც პროფესიულ საჭადრაკო ასოციაციასთან არის დაკავშირებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი არ აპირებს ამ დიდოსტატების დაშვებას მოსკოვის საჭადრაკო ოლიმპიადაზე, მაინც ბუნდოვანია კონკრეტულად რომელ დიდოსტატებს გულისხმობდა პრეზიდენტი. პროფესიული საჭადრაკო ასოციაცია ჯერჯერობით „შედგება“ მხოლოდ ორი დიდოსტატისგან: გარი კასპაროვისა და ნაიჯელ შორტისგან. გასაგებია, რახან ოლიმპიადას ფიდე მართავს, ამდენად არც კასპაროვი და არც შორტი მოსკოვში არ დაიშვებიან, მაგრამ ვინ იქნება მესამე, მეოთხე და ა.შ.

კამპომანესსაც და კასპაროვსაც უწინ არაერთგზის განუცხადებიათ, რომ მოლაპარაკების წინააღმდეგი არ არიან, ახლა კი, პრეზიდენტის მორიგი დემარშის შემდეგ, ამ მოლაპარაკებას კარგი პირი არ უჩანს.

### სად ითამაშებს „შახლედი“?

1988 და 1990 წლებში ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადებში გაიმარჯვა უნგრეთის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში თამაშობდნენ დები ჟუჟა, იუდით და სოფია პოლგარები და ილდიკო მადლი. 1992 წელს მანილაში ამ გუნდს უკვე ილდიკო მადლი ხელმძღვანელობდა, პოლგარები კი აღარ თამაშობდნენ. ასეთმა შესუსტებულმა ნაკრებმა მაინც დაიკავა მეოთხე ადგილი, რაც დიდ წარმატებად ჩაითვალა.

რაში იყო საქმე? მას შემდეგ, რაც ჯერ ჟუჟა, ხოლო შემდეგ მისი უმცროსი დები დაწინაურდნენ, უნგრეთის საჭადრაკო ფედერაციასთან მათ სისტემატური უსიამოვნება აქვთ. ადრე ისინი ქალთა ოლიმპიურ ნაკრებში თამაშზე უარს აცხადებდნენ, თუ თან მშობლებს არ გააყოლებდნენ, ზოგჯერ ცალკე სასტუმროში ცხოვრებას თხოულობდნენ, რათა გუნდის სხვა წევრებთან კონტაქტი არ ჰქონოდათ. ერთხელ ასეთი პირობაც წამოაყენეს: გუნდში არ უნდა ყოფილიყო ცნობილი დიდოსტატი ჟუჟა ვერეცი-პეტრონიჩი, რომელსაც დები რატომღაც ვერ ეგუებიან. ამის გამო პოლგარები სალონიკის ოლიმპიადაზეც არ გაემგზავრნენ.

ასე იყო თუ ისე, 1988 წლიდან უნგრეთის საჭადრაკო ფედერაციამ პოლგარების ყველა პირობა დააკმაყოფილა და გუნდიც ზედიზედ ორჯერ ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

დიახ, მაგრამ 1992 წელს მანილაში პოლგარები, როგორც უკვე მოგახსენეთ, მაინც არ გამოჩენილან. საქმე ის იყო, რომ ამ შეჯიბრების წინ იუდით და ჟუჟა პოლგარებმა მონაწილეობა მიიღეს უნგრეთის ვაჟთა ჩემპიონატში, იუდითმა პირველი ადგილი დაიკავა, ჟუჟამაც კარგ შედეგს მიაღწია, ამიტომაც დებმა მოითხოვეს ოლიმპიადაზე უნგრეთის ვაჟთა ნაკრებში თამაში, რაც თავისთავად უპრეცედენტო ამბავი იქნებოდა. უპრეცედენტო, მაგრამ მეორე მხრივ, საჭადრაკო თვალსაზრისით, სავსებით დასაბუთებული. ბოლოს და ბოლოს, თუ დიდოსტატი უნგრეთის ჩემპიონი ხდება (და ისიც დაუმარცხებლად!), რატომ არ შეიძლება მოითხოვოს თამაში გუნდში, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ექვსი ადგილია (4 ძირითადი და 2 სათადარიგო).

უნგრეთის საჭადრაკო ფედერაციის მესვეურებმა იფიქრეს, იფიქრეს და დებს უარით უპასუხეს. ისინი დაახლოებით ასე ანგარიშობდნენ: თუ ქალთა ნაკრებში ითამაშებენ, პოლგარებს კვლავ შეუძლიათ ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ, ვაჟთა ნაკრებში მათი მონაწილეობა კი ბევრს ვერაფერს შეცვლის, უნგრელებს მეტად გაუჭირდებათ საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა, ოლიმპიურ ჩემპიონობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. დები განაწყენდნენ და ქალთა ნაკრებშიც აღარ ითამაშეს. მათ მესამე დამაც — სოფიამაც მიბაძა, თუმცა უნგრეთის ვაჟთა ნაკრებში გამოსვლის პრეტენზია პირადად არასოდეს ჰქონია.

დადგა 1994 წელი. იუდით პოლგარი, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე გახდა ვაჟთა შორის. იგი შედის მსოფლიოს საუკეთესო დიდოსტატების პირველ ოცეულში, აშკარად უმიზნებს პირველ ათეულს და ხშირად ამარცხებს იმათაც, რომლებიც ამჟამად უძლიერეს პრეტენდენტებად ითვლებიან. ცხადია, ჭადრაკის ისტორიაში ეს უმაგალითო მოვლენაა. ქალთა შეჯიბრებებს, ოლიმპიადებსაც კი, იუდითი სათოფეზეც აღარ ეკარება. ამიტომ ახლა კვლავ დადგა საკითხი მისი უნგრეთის ვაჟთა ნაკრებში ჩარიცხვაზე, მაგრამ იუდითს ახლა მხოლოდ პირველი დაფა აკმაყოფილებს (ჟუჟა საერთოდ გუნდში თამაშზეც თანახმაა). 18 წლის „შახლედი“ რეიტინგ-ლისტში შორს უსწრებს, გნებავთ, ლაიოშ პორტიშს, გნებავთ, ზოლტან რიბლის, დიულა საქსსა თუ ანდრაშ ადორიანს. თითოეულ მათგანს იუდითი, ეტყობა, მატჩსაც მოუგებდა, ისევე, როგორც 1993 წელს მოუგო ბორის სპასკის.

ასე რომ, უნგრეთის საჭადრაკო ფედერაციის გადაწყვეტილებას მალე შევიტყობთ, იუდით და ჟუჟა პოლგარები ან ვაჟთა გუნდში ითამაშებენ, ან მოსკოვში საერთოდ არ ჩამოვლენ.

### უამრავი ლეგიონერი

ფიდეს დებულებით, მოქალაქეობა სულაც არ არის აუცილებელი საიმისოდ, რომ ამა თუ იმ გუნდში ითამაშო. საამისოდ საჭიროა მხოლოდ რომელიმე ქვეყნის საჭადრაკო ფედერაციის წევრი იყო. ამიტომაც მოხდა, რომ სხვადასხვა ნაკრებში აღმოჩნდნენ ის დიდოსტატები, რომლებიც უწინ ყოფილ საბჭოთა კავშირში ცხოვრობდნენ.

უკვე კარგა ხანია ცნობილია, რომ გერმანიის ვაჟთა ნაკრებში მოსკოვში პირველ დაფაზე ითამაშებს ყოფილი მოსკოველი (ეროვნებით თათარი) არტურ იუსუპოვი. მკითხველს კარგად მოეხსენება მისი დიდი საჭადრაკო ძალის შესახებ, ის კი შეიძლება არ იცოდეს, რომ გერმანიაში გადასახლების შესახებ გადაწყვეტილება მან მაშინ მიიღო, როცა მიუნხენის დიდი საერთაშორისო ტურნირიდან პირველი პრიზით დაბრუნებულს, დღისით-მზისით მძარცველები ბინაში შეუცვივდნენ, ყველაფერი წაართვეს და კინაღამ სიცოცხლესაც გამოასალმეს — მძიმედ დაჭრეს. ასე რომ, განთქმული გერმანელი დიდოსტატი რობერტ ჰიუბნერი ახლა იძულებულია მეორე დაფაზე გადაინაცვლოს. გერმანიის ქალთა ნაკრებში პირველ დაფაზე ითამაშებს ცნობილი ქართველი დიდოსტატი, ჩვენი ჩინებული მწვრთნელის გიორგი მაჭარაშვილის აღზრდილი ქეთევან კახიანი. სწორედ გიორგი მაჭარაშვილის აზრით, ქეთევან კახიანი მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშების მომდევნო ციკლში იბრძოლებს პრეტენდენტთა ასპარეზობაში მოსახვედრად.

შვეიცარიის ნაკრებში გამოვა არა მარტო ვიქტორ კორჩნოი, რომელიც უკვე მრავალი წელია ამ ქვეყანაში ცხოვრობს და აქაური მოქალაქეობაც მიიღო, არამედ ვიქტორ გავრიკოვიც (ბოლო ხანებამდე ლიტვაში ცხოვრობდა, მანამდე კი — მოლდავეთში).

საფრანგეთის ნაკრებს ხომ ნუ იკითხავთ! შეიძლება ისე მოხდეს, რომ აქ მხოლოდ ერთი ფრანგი აღმოჩნდეს — ახალგაზრდა ჟოელ ლოტიე, დანარჩენ დაფებზე კი შეიძლება ითამაშონ ყოფილმა ლვოველმა იოსებ დორფმანმა, ყოფილმა ალმაათელმა ანატოლი ვაისერმა და ვინ იცის, კიდევ ვინ! ბელგიის ნაკრებს უხელმძღვანელებს ყოფილი ხარკოველი მიხეილ გურევიჩი, უნგრეთის ნაკრებში თამაშის პრეტენზია აქვს კიდევ ერთ ყოფილ ხარკოველს ალექსანდრე ჩერნინს, რომელიც კარგა ხანია ბუდაპეშტში ცხოვრობს. მეტად გაძლიერდა ისრაელის გუნდი, სადაც პირველ დაფებზე ითამაშებენ ყოფილი პეტერბურგელი პრეტენდენტთა ასპარეზობის ორგზის მონაწილე ლეონიდ იუდასინი, ყოფილი მინსკელი ილია სმირინი, აგრეთვე, კრასნოდარელი ლევ სახისი.

ამ მხრივ აშშ-ს გუნდებში როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის მაინც განსაკუთრებული სიტუაციაა. თქვენ თვითონ განსაჯეთ — ქალთა ნაკრებში გამოდიან ირინა ლევიტინა, ელენა ახმილოვსკაია, ანა ახშარუმოვა. ვაჟთა ნაკრებს ამჯერად უხელმძღვანელებს დიდად ნიჭიერი გატა კამსკი, სხვადასხვა დაფაზე თამაშის პრეტენზია კი შეიძლება ჰქონდეთ ბორის გულკოს, ლევ ალბურტს, რომან ჯინჯიხაშვილს, ალექსეი ერმოლინსკის, ალექსანდრე ივანოვს, ალექსანდრე შაბალოვს, რომელიც აშშ-ში ამ ცოტა ხნის წინ გადასახლდა რიგიდან.

### ვინ უმიზნებს ოქროს მედლებს?

ის, რომ საქართველოს ქალთა ნაკრები ოლიმპიური ჩემპიონობის შესანარჩუნებლად იბრძოლებს, თავისთავად ცხადია. მის შესაძლებელ მეტოქეებად შეიძლება ჩავთვალოთ უკრაინელები, ჩინელები, ამერიკელები, ჩვენს მიერ შესაძლებელი მდგომარეობის გათვალისწინებით, უნგრელებიც...

რაც შეეხება ვაჟთა ოლიმპიადას, აქ ოქროს მედლების მოპოვების უდავო შესაძლებლობა რუსეთის გუნდს ექნება, ისევე, როგორც ორი წლის წინათ მანილაში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მას ამჯერად გარი კასპაროვი აღარ ეყოლება. პირველ დაფაზე ანატოლი კარპოვი ითამაშებს. ფიდეს მსოფლიო ჩემპიონი წლევანდელ სეზონს ვერ დაემდურება, თუმცა, შეემთხვა ცალკეული მარცხიც. მთავარი მაინც ის იყო, რომ წლეულს კარპოვმა პირველი ადგილი დაიკავა ლინარესის უდიდეს საერთაშორისო ტურნირში, სადაც პირველად მრავალი წლის შემდეგ ჩამოიტოვა თავისი ისტორიული მტერი გარი კასპაროვი. ოლიმპიადაში მონაწილეობა კარპოვისთვის უკანასკნელი რეპეტიცია იქნება მსოფლიო პირველობაზე ბორის გელფანდთან შეხვედრის წინ. დიახ, ცოტა უცნაური და ჩვენთვის შეუჩვეველია, რომ მსოფლიო ჩემპიონი ამჯერად პირეტენდენტის გამოვლენას კი არ უცდის, როგორც აქამდე ხდებოდა, არამედ თვითონ ებმება პრეტენდენტთა დავაში ნახევარფინალური ეტაპიდან. ისე რომ, გამორიცხული არ არის (თეორიულად) კარპოვი თავის წოდებას იანვარ-თებერვალშივე გამოეთხოვოს. რუსეთის ნაკრები, საერთოდ მეტად ძლიერია. აქ ითამაშებენ ვალერი სალოვი, რომელსაც პრეტენდენტთა II ნახევარფინალში მოელის შეხვედრა გატა კამსკისთან და დიდად ნიჭიერი, მანილას ოლიმპიადის აღმოჩენა ვლადიმირ კრამნიკი. კრამნიკმა, რომელსაც მანამდე თითქმის არავინ იცნობდა, მანილაში თითქმის ყველა პარტია მოიგო, შარშან და წლეულს კი პრეტენდენტთა „ორ ფრონტზე“ იბრძოდა, როგორც ფიდეს ეგიდით მოწყობილ, ისე პროფესიული საჭადრაკო ასოციაციის ასპარეზობაში. რუსეთის გუნდის დანარჩენი წევრების გვარებს მოგვიანებით შევიტყობთ.

მოსკოვის საჭადრაკო ოლიმპიადა მრავალ საინტერესოს გვპირდება.

გივი გამრეკელი

## „მუდმივი მოძრაობა“

საკმაოდ იშვიათია საჭადრაკო კომპოზიციისადმი მიძღვნილი წიგნები. ეს მით უმეტეს ჩვენზე ითქმის, იმისდა მიუხედავად, რომ ამ სფეროში რამდენიმე აღიარებული საჭადრაკო კომპოზიტორი გვყავს.

ამიტომ უდავოდ სასიამოვნოა ცნობილი საჭადრაკო კომპოზიტორის, საერთაშორისო ოსტატ ველიმირ კალანდაძის ახალი წიგნი, რომელსაც „მუდმივი მოძრაობა“ ჰქვია და ავტორის 111 ეტიუდს შეიცავს. ზოგი ეტიუდის თანაავტორები არიან დიდოსტატი დავით გურგენიძე და საერთაშორისო ოსტატი ვაჟა ნეიძე. წიგნი, რომლის სპონსორია საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია, გამოსცა „მეცნიერებამ“ და ეს დაინტერესება სპორტული თემატიკით უდავოდ მისასალმებელია.

ვფიქრობთ, ჭადრაკის მოყვარულები ინტერესით შეხვდებიან ვ. კალანდაძის ეტიუდების კრებულს სისტემატური მოძრაობის, პატის, შამათისა და პოზიციური ყაიმის თემებზე.

გასაგები მიზეზების გამო წიგნის ტირაჟი საკმაოდ მცირეა — 1500 ცალი.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.
ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჯილაური.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში“